

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო
საზედამხედველო კომიტეტი
საველე ვიზიტი ბათუმში
2017 წლის 31 იანვარი - 1 თებერვალი

ვიზიტის საიტები:

1. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი
2. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი/იმედი
3. თანადგომა
4. შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი, ბათუმის ფილიალი

ვიზიტის მიზანი:

გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე შიდსის და ტუბერკულოზის პროექტის მიმდინარეობის სტატუსის შეფასება, აქტივობების განხორციელების გამოწვევების იდენტიფიცირება.

ვიზიტის ამოცანები:

1. პროგრამის ქვე და ქვე-ქვე- კონტრაქტორებისგან ინფორმაციის შეგროვება გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამების განხორციელების და აქტივობების შესახებ;
2. გრანტის განხორციელების პროცესის გამოწვევების განხილვა;
3. პროგრამის განხორციელების გაუმჯობესების გზების განხილვა.

მეთოდოლოგია:

- ✓ გასაუბრება გლობალური ფონდის პროექტის განხორციელებაში ჩართულ თანამშრომლებთან;
- ✓ გასაუბრება პროგრამების ბენეფიციარებთან.

ყველა ამ ორგანიზაციას აქვს უშუალო კომუნიკაცია პროგრამის ბენეფიციარებთან (სექს-მუშაკი ქალები, მამაკაცები, რომლებიც ამყარებენ სქესობრივ კავშირს მამაკაცებთან (MSM) და ნარკოტიკის ინიექციურ მომხმარებლები(ნიმ)).

1. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი

მონაწილეები

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

გიორგი სოსელია - მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი, დაავადებათა კონტროლის ცენტრი/გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული

ჯემალ დუმბაძე - ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, გლობალური ფონდის პროგრამის სუბმენეჯერი

მარინა მგელაძე - ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, ექთანი

დიმიტრი ცეცხლაძე - ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, ტბ განყოფილების ხელმძღვანელი

აივ/შიდსი

ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონულ ცენტრში პირველი შეხვედრა გაიმართა ბ-ნ ჯემალ დუმბაძესთან. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის და რეგიონში არსებული ტენდენციების განხილვის შემდეგ საუბარი შეეხო აივ-საწინააღმდეგო მედიკამენტების მოწოდებას და მარაგებს. ბ-ნმა დუმბაძემ აღნიშნა, რომ არ დაფიქსირებულა დაგვიანება მედიკამენტების მიწოდების თვალსაზრისით და რომ საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტამდე რამდენიმე თვით ადრე მოხდა მედიკამენტების მოწოდება. მარაგი საკმარისია მომდევნო სრული ერთი თვისათვის. თუმცა, მან ასევე აღნიშნა, რომ დიდთოვლობა ბათუმში და აჭარის რეგიონში 4-5 დღით აფერხებს საიტზე და სახლებში მედიკამენტების დისტრიბუციას. ამინდის გაუმჯობესება შესაძლებლობას მისცემს გააგრძელონ მედიკამენტების მანქანით მიწოდება.

2016 წლის მონაცემებით ცენტრში აივ პაციენტების რიცხვი შეადგენს 346 ადამიანს. ერთ-ერთი პაციენტი ამჟამად იმყოფება ციხეში, თუმცა მას მიეწოდება სათანადო სერვისები. ერთი პაციენტი კი ელოდება ბავშვს იანვარში. ცენტრმა უკვე გაითვალისწინა ბავშვისთვის და დედისთვის ზრუნვის და მკურნალობის სათანადო პროცედურების განხორციელების აუცილებლობა.

ცენტრის ადმინისტრაციის თანახმად, არსებობს რამდენიმე გართულება, გამოწვეული 3 იანვარს დანიშნული ცენტრის ახალი მენეჯმენტის მიერ. უკმაყოფილება ძირითადად ეხება ახალი მენეჯმენტის გადაწყვეტილებას: თანამშრომლებს, რომლებიც ჩართულნი არიან როგორც სახელმწიფო, ასევე გლობალური ფონდის პროგრამებში ჩამოეჭრათ დამატებითი შემოსავალი, მიღებული სახელმწიფო პროგრამებიდან.

ტუბერკულოზი

ბ-ნ დიმიტრი ცეცხლაძესთან შეხვედრისას განხილულ იქნა ეპიდემიოლოგიური სიტუაცია და პროგრამის განხორციელების გამოწვევები. ბ-ნმა ცეცხლაძემ აღნიშნა, რომ ამჟამად 37 პაციენტი იმყოფება ჰოსპიტალურ მკურნალობაზე, მათ შორის ერთი ბავშვი. ჯამურად, 2016 წელს მოცულ იქნა 450 ტბ პაციენტი.

ოპიოიდებით ჩანაცვლებითი მკურნალობა და ტბ მკურნალობა: ჰოსპიტალიზირებულ მკურნალობაზე მყოფი რამდენიმე პაციენტი ამავდროულად ღებულობს ოპიოიდებით ჩანაცვლებით თერაპიას. მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ მკურნალობა. ცენტს აქვს მედიკამენტების 10 დღიანი მარაგი ჰოსპიტალში. მედიკამენტები პაციენტებს მიეწოდებათ ქვეყანაში არსებული პროტოკოლების მიხედვით.

არასათანადო ინფრასტრუქტურა (ძირითადად ეხება შენობას, რომელიც საჭიროებს რემონტს) დასახელდა ბ-ნ ცეცხლაძის მიერ ტბ პაციენტებისათვის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად. მიუხედავად იმისა, რომ MSF-ის დახმარებით დაიწყო გარკვეული სარემონტო სამუშაოები, აღნიშნული არ არის საკმარისი პაციენტებისათვის მკურნალობის გაუმჯობესებული გარემოს შესაქმნელად.

მოსალოდნელია უახლოეს მომავალში ცენტრისთვის ავტომანქანების მიწოდება, რაც უზრუნველფს აჭარის მთიანი რეგიონის უკეთ დაფარვას.

2. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი/იმედი

მონაწილეები

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

გიორგი სოსელია - მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი, დაავადებათა კონტროლის ცენტრი/გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული

ზორია წურწუმი - იმედი, გამგეობის თავმჯდომარე

გალინა მოროზოვა - იმედი, ნარკოტიკის მომხმარებელთა საქართველოს ქსელი

მირანდა ჟღენტი - იმედი

იმედი, რომელიც აწვდის აივ-ის მეორად პრევენციულ სერვისებს ნარკოტიკის ინიექციურ მომხმარებლებს ყოველწლიურად ემსახურება 1200 პაციენტს.

საჭიროებები: ორგანიზაციის თანამშრომლებმა გამოთქვეს ახალი კომპიუტერების, პროექტორის, საკანცელარიო ნივთების და საბუღალტრო პროგრამის Oris-ის შესყიდვის საჭიროების მოსაზრება. აღნიშნული შესაძლებელს გახდის ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის და სამუშაოს შესრულების გაუმჯობესებას.

ბენეფიციართა რეგისტრაციის სისტემა: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის/გლობალური ფონდის ახლანდელი რეგულაციების ცვლილება ბენეფიციართა რეგისტრაციისათვის 15-კოდიანი სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით აღმოჩნდა თანამშრომლებისათვის რთული დასანერგად. შეხვედრის მონაწილეების მიერ გამოითქვა დამატებითი ტრენინგების და კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების მოსაზრება.

სგდ-ზე საპასუხო ქმედებები: ორგანიზაციის დირექტორის თქმით ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ბენეფიციართა შოორის სგდ-ს მაღალი დონე (დაახლოებით 18%). მიმდინარეობს მოლაპარაკებები ბათუმის საზღვაო ჰოსპიტალთან ბენეფიციარებისათვის საჭირო მკურნალობისათვის რეფერალური მექანიზმის დანერგვის თაობაზე. აღნიშნულის წამოწყება იგეგმება 2017 წლის მარტის დასაწყისიდან.

3. თანადგომა

მონაწილეები

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

გიორგი სოსელია - მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი, დაავადებათა კონტროლის ცენტრი/გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული

ნათია ხარატი - თანადგომა, ბათუმის ფილიალის დირექტორი

ილია ურუშაძე - თანადგომა, სოც. მუშაკი

ავთანდილ ლაღვილი - თანადგომა, სოც. მუშაკი

რატი ცინცაძე - თანადგომა, სოც. მუშაკი

ზაზა ბაბუნაშვილი – თანადგომა, კონსულტანტი

შოთა მახარაძე - თანადგომა, სოც. მუშაკი

ქეთი ჯიბლაძე - თანადგომა, სოც. მუშაკი

მაია კონცელიძე- თანადგომა, სოც. მუშაკი

გიორგი ბოლქვაძე- თანადგომა, სოც. მუშაკი

შეხვედრა თანადგომის თანამშრომლებთან ატარებდა წარმომადგენლობით ხასიათს. მას ესწრებოდნენ თანადგომის 10 თანამშრომელზე მეტი, მათ შორის სოციალური მუშაკები და ნკტ კონსულტანტები. თანამშრომლების მიერ დაყენებულ იქნა შემდეგი საკითხები:

- **სამიზნეს მიღწევა:** სამიზნე - 1100 MSM-ის მოცვა (სამიზნე ზოგადად განსაზღვრულია თანადგომის სათაო ოფისის (თბილისი) მიერ, თითოეული

რეგიონული ოფისის შესაძლებლობებიდან და წარსული მოცვიდან გამომდინარე) მოიაზრება, როგორც ძალზედ მაღალი ბათუმში და შემოგარენში. გამოითქვა ექვი აღნიშნულის მიღწევის თაობაზე თბილისსა და ბათუმს შორის MSM-ების მიგრაციის მაღალი დონის გათვალისწინებით.

- **ხედვა რეგისტრაციის ახალი სისტემის თაობაზე:** არ არსებობს სირთულე ბენეფიციარებისათვის 15-კოდის სარეგისტრაციო სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით. თუმცა ორმა ბენეფიციარმა გამოხატა თავის დამოკიდებულება იმის თაობაზე, რომ სისტემა მოითხოვს პოტენციური ბენეფიციარის მიერ საკმაოდ დიდი მოცულობით სენსიტიური ინფორმაციის მიწოდებას. გამოითვა მოსაზრება, რომ აღნიშნული არის მეტად ჩამძიმებული ხასიათის და შესაძლოა ინფორმაციის შეგროვებისას უხერხული სიტუაცია წარმოშვას. გამოითვა გარკვეული პირადი ინფორმაციის კოდური სისტემიდან გამორიცხვის ან დეფინიციის შეცვლის მოსაზრებები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კოდის შესადგენად ბენეფიციარებს მხოლოდ ერთხელ უწევთ გარკვეულ კითხვებზე პასუხის გაცემა არსებითი ინფორმაციის შესაგროვებლად, რომელიც აუცილებელია 15-ნიშნის კოდის შესადგენად. შემდგომში, ბენეფიციარისათვის სერვისის მისაწოდებლად, თანადგომა იყენებს სპეციალურ - 4 ციფრიან კოდს, რომლის მეშვეობითაც ხდება ბენეფიციარის იდენტიფიცირება.
- **ბენეფიციართა საჭიროებები:** ნკტ კონსულტანტის თანახმად, რამოდენიმე ქალმა სექს-მუშაკებებმა გამოთქვა ქალის კონდომების საჭიროება, ხოლო MSM ბენეფიციარები კონდომებთან და ლუბრიკანტებთან ერთად გამოთქვამენ სველი ხელსახოცების დისტრიბუციის საჭიროებას.
- **სპეციალიზირებული ინტერვენციები:** თანადგომის ბათუმი ფილიალის დირექტორმა გამოთქვა სურვილი დაინერგოს სპეციალიზირებული ინტერვენციები სარფის სასაზღვრო პუნქტის გადამკვეთ სატვირთო ავტომობილების მძღოლებისათვის, რომლებიც ხშირად იყენებენ სექს-მუშაკების მომსახურებას
- **ბენეფიციართა ხედვა:** საზედამხედველო კომიტეტის თავჯდომარე შეხვდა პროექტის ორ MSM ბენეფიციარს. ორივემ გამოხატა მაღლიერების გრძნობა არსებული სერვისებით. დამატებით გამოითქვა სურვილი MSM-ისთვის სპეციალიზირებული ფსიქოლოგიური საკონსულტაციო მომსახურების მიზოდების თაობაზე.

4. შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი, ბათუმის ფილიალი

მონაწილეები

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

გალინა კოსუნკოვა – შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი

გიორგი დოხნაძე - შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი

ეკატერინე ნაცვლიშვილი - შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი

თეა მახარაძე – კონსულტანტი

ორგანიზაცია უწევს დახმარებას 85 ბენეფიციარს, მათ შორის 10 ბავშვს. ორგანიზაციის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მათი საჭიროებები საგრძნობლად არ შეცვლილა საზედამხედველო კომიტეტის 2016 წლის დეკემბრის ვიზიტის შემდეგ. შემდეგ საკითხებს დაეთმო ყურადღება:

- საიტზე კონდომების მარაგი. მოთხოვნილია დაახლოებით 4000 კონდომი დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან. მარაგი მათ ჯერ არ მიუღიათ. დაავადებათა კონტროლის ცენტრის წარმომადგენლის განმარტების თანახმად, შიდსით დაავადებულ პაციენტთა ფონდის ცენტრალურ ოფისს, მათი მოთხოვნის თანახმად, ძირითადი მიმღებმა გადასცა 4000 კონდომი. ფონდის ცენტრალური ოფისი უახლოეს მომავალში მოახდენს კონდომების დისტრიბუციას ბათუმის ფილიალში.
- ორგანიზაცია განიცდის ისეთი ტექნიკური აღწურვილობის ნაკლებობას, როგორცაა კომპიუტერები. თუმცა მათ მიიღეს ორი კომპიუტერი დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან (გლობალური ფონდის გრანტების ყოფილი ძირითადი მიმღების შემდეგ დარჩენილი), ორივე კომპიუტერი მოძველებულია და მათ აღენიშნება მრავალი ტექნიკური პრობლემა, რაც ხელს უშლის სამუშაო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.
- გამოითქვა სურვილი დაფინანსდეს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები მათი ბენეფიციარებისათვის.